შიდსი

ალბათ იცი, რომ შიდსის პრობლემა დღესდღეობით კაცობრიობისათვის გადაუჭრელი პრობლემაა. სნორედ ამიტომ შეიქმნა ეს საინფორმაციო მასალა, რათა პასუხი გაეცეს იმ კითხვებს, რომლებიც, ვფიქრობთ, შენ უკვე დიდი ხანია გაინტერესებს და რომელიც დაგეხმარება თავად განსაზღვრო შენი მომავალი. ეს ბროშურა საშუალებას მოგცემს, თავიდან აიცილო: სარისკო ქცევა, საფრთხე და არაფიქრობით გამონვეული შიში.

რა თქმა უნდა, ეს ბროშურა ამომწურავ ინფორმაციას ვერ მოგანვდის და შესაძლებელია დამატებითი კითხვების დაკმაყოფილების საჭიროება გაგიჩნდეს.

ამისათვის აკრიფე ტელეფონის ნომერი:
თბილისი – 25 18 19
ბათუმი – 7 42 13

ცენტრის "თანადგომა" კონსულტანტები უპასუხოდ არ დატოვებენ შენს შეკითხვებს.

გახსოვდეს: ყოველი ზარი ანონიმური და უფასოა.

შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი – მომაკვდინებელი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის დამცავ ანუ იმუნურ სისტემას და თანდათანობით მწყობრიდან გამოჰყავს იგი.

აივ ინფექცია ეწოდება აივ-ით გამოწვეულ დაავადებას ვირუსის შეჭრის მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით **შიდსი** აღინიშნება აივ ინფექციის ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება გარკვეული დაავადებები და/ან იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება.

შიდსის ვირუსი გადაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს შემდეგი გზებით:

- სქესობრივი კონტაქტით (ვაგინალური, ორალური, ანალური);

- სისხლით: ინფიცირებული სისხლის გადასხმისას, აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცის, ნემსის (საინექციო ნარკოტიკების მოხმარების დროს) გამოყენებისას, არასტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტრუმენტების გამოყენების დროს (სამართებელი, მაკრატელი), ტატუირებისას, ინდივიდუალური მოხმარების საგნების გაზიარებით (კბილის ჯაგრისი, საპარსი);

- ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე მუცლად ყოფნის (ფეხმძიმობის), მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს.

ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ:

- საერთო მოხმარების საგნებით (ჭურჭელი, აბაზანა);



- ხელის ჩამორთმევით;

- საუბრისას, დახველებით და დაცემინებით;

- კოცნით, მოფერებით;

- მწერებისა და ცხოველების ნაკბენით.

აივ ინფექციის მიმდინარეობა და ნიშნები:

აივ ინფექციის მიმდინარეობაში შესაძლებელია ოთხი ფაზის გამოყოფა:

ფანჯრის პერიოდი:

ეს არის პერიოდი ინფიცირების მომენტიდან 8-10 კვირის (2-3 თვის) განმავლობაში, როდესაც სისხლის ანალიზი ვერ გამოავლენს, არის თუ არა ადამიანი აივ-ით ინფიცირებული.
ამ პერიოდში ხანდახან შეიძლება თავი იჩინოს ისეთმა პრობლემებმა, როგორიცაა ფაღარათი, ტემპერატურის მოატება, „გრიპოზული“ მდგომარეობა, ლიმფური კვანძების გადიდება. ეს ნიშნები დამახასიათებელია სხვა დაავადებებისთვისაც, ამიტომ ადამიანმა შეიძლება ეჭვიც არ მიიტანოს აივ ინფექციაზე.

მცირე სიმპტომების ფაზა:

ეს ფაზა, რომელიც პირობითად არის გამოყოფილი ფანჯრის პერიოდის შემდეგ, შესაძლებელია რამოდენიმე წელი გაგრძელდეს (საშუალოდ 3-5 წელი). ამ პერიოდში ადამიანი ვირუსის მატარებელია, შეუძლია ინფექციის სხვა ადამიანებისათვის გადაცემა, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეს ჩივილები და დაავადების ნიშნები. ადამიანი გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურება. იგი ჩვეულ რითმში აგრძელებს ცხოვრებას. შეიძლება ადგილი ჰქონდეს წონაში კლებას,

ზოგად სისუსტეს, ღამის ოფლიანობას, ლიმფური კვანძების გადიდებას ორ ან მეტ ადგილზე (საზარდული, იღლია) ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

გამოხატული სიმპტომების ფაზა:

გამოხატული სიმპტომების ფაზის ხანგრძლივობა საშუალოდ 4-5 წელია. ამ ფაზაში ადამიანის იმუნური სისტემის (ორგანიზმის დამცავი სისტემის) მნიშვნელოვანი დაზიანების შედეგად თავს იჩენს ისეთი ინფექციები და სიმსივნეები (ე. წ. ოპორტუნისტული დაავადებები), რომელნიც ჯანმრთელი იმუნური სისტემის პირობებში არ ვითარდებიან. ეს დაავადებები ძალიან ძნელად ექვემდებარებიან მკურნალობას და, თავის მხრივ, შეიძლება ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდნენ.

შიდსი:

ამ ფაზაში იმუნური სისტემა (ორგანიზმის დამცავი სისტემა) უკვე მძიმედაა დაზიანებული. ვითარდება ფილტვების, თავის ტვინის, საჭმლის მომნელებელი სისტემის და სხვა ორგანოების ინფექციური დაავადებები და სიმსივნეები, რომელნიც აღარ ექვემდებარებიან მკურნალობას. შიდსი არის აივ ინფექციის ტერმინალური (საბოლოო) სტადია, რომელიც სრულდება ლეტალური გამოსავლით (სიკვდილით).

აივ ინფექციასთან დაკავშირებული კონსულტირების შესახებ

აივ ინფექციაზე გამოკვლევა ადამიანის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა და ამიტომ მას ყოველთვის უნდა ახლდეს კონსულტირება, როგორც გამოკვლევამდე, ასევე გამოკვლევის შემდეგ.

გამოკვლევამდე კონსულტირების მიზანია, ადამიანს მიეწოდოს ზუსტი (დაწერილებითი) ინფორმაცია დაავადების, გამოკვლევის მიმდინარეობის, სარისკო ქცევების შესახებ. ეს ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს ადვილად გასაგებ ენაზე. კონსულტირებისას დრო ეთმობა ადამიანის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ანალიზისათვის მოქზადებას. კონსულტირება დაფუძნებულია კონფიდენციალურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს, რომ კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია მხოლოდ მასსა და კონსულტანტს შორის დარჩება.

აივ-ზე გამოკვლევის შემდეგ კონსულტირების მიზანია, ადამიანმა კარგად გააცნობიეროს გამოკვლევის შედეგები. მიუხედავად იმისა, თუ რა იყო ტესტირების შედეგი, აუცილებელია, ადამიანმა გარკვეული დრო დაუთმოს საკუთარი განცდების გაცნობიერებას, დაგეგმოს მომავალი ცხოვრება, იფიქროს სარისკო ქცევის შემცირებაზე და ა.შ.

ტესტირება აივ შიდსზე

იმისათვის, რომ გაიგო, ხარ თუ არა აივ ინფიცირებული, უნდა გაიკეთო სისხლის გამოკვლევა აივ-ზე. ეს გამოკვლევა, როგორც წესი, პასუხს იძლევა ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან 8-10 კვირის შემდეგ.

არსებობს ანალიზის პასუხის 3 ვარიანტი:

უარყოფითი - კლიენტი არ იყო ინფიცირებული 3 თვის წინ;
დადებითი - კლიენტი აივ ინფიცირებულია და გაეცნობა არსებულ სოციალურ და სამედიცინო სამსახურებს, გარდა ამისა, ის გაივლის ტესტის შემდგომ კონსულტირებას;
გაურკვეველი - კლიენტის სისხლის ანალიზი არასაკმარისად მკაფიოა და აუცილებელია განმეორებითი ტესტირება აივ-ზე.

ტესტირება მიმდინარეობს რამდენიმე საფეხურად. თუ თითოეულ საფეხურზე მიღებული პასუხი უარყოფითია, შემდეგ საფეხურზე ტესტირება აღარ არის საჭირო. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი არ არის ინფიცირებული. ხოლო თუ პასუხი დადებითია, საჭიროა ტესტირების შემდეგი საფეხურის ჩატარება. მხოლოდ ყველა ეტაპზე მიღებული დადებითი პასუხის შემთხვევაში ვადგენთ, რომ ადამიანი აივ ინფიცირებულია.

შესაძლებელია თუ არა აივ ინფექციის მკურნალობა?

დღეისათვის აივ ინფექციის სამკურნალოდ არსებობს ანტივირუსული მედიკამენტები. ეს მედიკამენტები ახანგრძლივებენ ადამიანის სიცოცხლეს. თუმცა ისინი სრულიად ვერ თრგუნავენ ვირუსს და მხოლოდ გარკვეული დროით აფერხებენ მის გამრავლებას.

დღეისათვის აივ ინფექცია/შიდსის საბოლოო განკურნება არ ხდება, ამიტომ აუცილებელია ვიზრუნოთ მისი თავიდან აცილებისათვის.

როგორ დავიცვათ თავი აივ ინფექციისაგან:

- ერთგული და ჯანმრთელი პარტნიორის ყოლით;
- თუ შენი პარტნიორი არ არის შენი ერთგული ან შენ ერთზე მეტი პარტნიორი გყავს, ყოველი

სქესობრივი კავშირის დროს აუცილებელია კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება;

- მოითხოვე სტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტუმენტები, ასევე ყოველთვის გამოიყენე ერთჯერადი ნემსები და შპრიცები;
- ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისაგან თავის შეკავებით;
- სქესობრივი ურთიერთობებისგან თავის შეკავებით.

ეს მნიშვნელოვანია!

თუ ჩატარებული ანალიზის პასუხი დადებითია, თქვენ ხართ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებული, ამ ვირუსის მატარებელი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ხართ შიდსით დაავადებული. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დროს შეგიძლიათ ეს ინფექცია სხვას გადასდოთ. აივ ინფიცირებულობის შემთხვევაში ინფექციასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებას ექიმის რჩევების შესრულება წარმოადგენს. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული წესები, რომელთა დაცვაც ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას:

- ჯანსაღი კვება სხეულის წონის შესანარჩუნებლად;
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაგან თავის შეკავება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის შემოღება – ძილის რეჟიმის დაცვა, ზომიერი ფიზიკური დატვირთვები.

ყურადღება! აივ ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგან ერთის არსებობა ზრდის მეორის გადადების რისკს.



რაკი ამ გვერდამდე მოხვედი, იმედია ბოლომდე გაეცანი ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. გაგიჩნდა რაიმე დამატებითი შეკითხვები? არ მოგერიდოს, აკრიფე ტელეფონის ნომერი

თბილისი – 25 18 19

ბათუმი – 7 42 13

და გიპასუხებენ: **"თანადგომა გისმენთ"**

საუკეთესო სურვილებით
ცენტრი "თანადგომა"

კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური
ცენტრი "თანადგომა"

თბილისი
ტელ.: 25 18 19

ბათუმი
ტელ.: 7 42 13

ვებ-გვერდი: **www.tanadgoma.ge**

კონსულტაციები უფასო და ანონიმურია

TANADGOMA
თანადგომა

Cordaid